ქრისტეს: ღ̃თისა: საქმეთა: მომასწავებელთათა: და: მეოხებითა: და: შეწევ-
ნითა: წმიდათა: მღუდელთ: მთავართა: ბასილი: დიდისა: მესაიდუმლესა:
ზეციერისა: მზრახველისათა: გრიგოლი: ღ̃თის: მეტყუელისა: მეტყუელებით
შემამკობელისათა: ნიკოლოზ: მირონით: გამო: ლუკმისა: შემამკობელისათა:
უბრალოთა: სიკუდილისა: დამკსნელისა: და: საკჳრველთ: მოქმედისათა:
ათანასი: დიდისა: და: მიუწდომელისა: გამომთქმელისათა: არიოზ: და: სევ-
როზ: სიცბილითა: დამკსნელისათა: იოვანე: ოქროვანისა: ოქროსა: სიტყუა-
თა: მეტყუელისათა: კირილე: ყოველთა: წინა: აღმდგომთა: უფროს: ორპირ:
მახვილისა: უმკუეთელისათა: და: ყოველთა: შემდგომთა: მათთათა: და: თა-
ნა: ღირსებით: მოსაგრეთა: მათთა: მწყემსთ: მთავართათა: მეოხებითა: წმი-
დისა: პირველ: მოწამისა: მთავარ: დიაკონისა: და: ქრისტეს: ღ̃თისა: ვნე-
ბათა: მიმბაძველისა: სტეფანესითა: წმიდისა: და: მთავარ: მოწამისა: მკნისა:
უხილავთა: და: ხილულთა: ერთა: ძლიერებით: შემმუსრველისა: შეუდრეკელ:
უძლეველისა: თხოვათა: შინა: უხვად: წყალობის: მიმნიჭებელისა: გეორგისი-
თა: შეწევნითა: და: მეოხებითა: თანა: მეწიაღეთა: მათთათა: დიმიტრი: პრო-
კოპი: თეოდოროს: ევსტათიოს: პანტელეიმონ: და: ხარალამპრისითა: და:
ყოველთა: თანა: მოღვაწეთა: ამათთა: მოწამეთათა: და: თანა: შემწეობითა:
წმიდათა: მამათათა: მამათ: მთავართა: ქალწულთა: აღმსარებელთა: მეუდაბ-
ნოეთა: და: ქრისტეს: ღ̃თისათუის: სულელ: ქმნილთა: და: სოფლისა: ამის-
გან: ცოცხლივ: ლტოლვილთა: და: ჯმნილთა: სულისა: მიერ: აღტყინე-
ბულთა: და: ყოველთა: კორციელთა: და: უკორცოთათა: ჩუენ: მონდო-
ბილმან: ამათითა: მეოხებითა: და: მსასოებელმან: ცვა: ფარვათა: თქუენთა-
მან: და: მოლტოლვილმან: უსაზღვროსა: წყალობისა: თქუენისამან: ჩუენ:
იესიან: დავითიან: სოლომონიან: პანკრატონიანმან: ნებითა: ერთ: უფლე-
ბისა: და: ერთ: ღთაებისა: კახთა: რანთა: და: ქართველთა: და: ყოვლისა:
ჩრდილოეთისა: მკედარისთა: თქუენ: ძლით: თუით: მპყრობელ: მქონებელ-
მან: და: განმგებელმან: მეფობისა: და: შარავან: დედობისამან: მეფემან:
სიმდაბლით: საბრძანებელისა: ჩუენისა: მეფეთამან: შენ: მიერ: ძლიერად:
სამეფოსა: ჩუენისა: განმამაგრებელმან: და: მმართებელმან:პატრონმან: გიორ-
გიმ: და: თანა: მეცხედრემან: ჩუენმან: დედოფალთ: დედოფალმან: პატრონ-
მან: თამარ: პირმშომან: სასურველმან: და: საყუარელმან: ძემან: ჩუენმან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონმან: ბაგრატ: და: სასურველმან: ჩუენთანა: სურვილით: მდგომარემან: ძმამან: ჩუენმან: ლევან: და: სულაიმან: რაოდენი: ქება: და: დიდება: და: მადლობა: შესხმა: კელ ვყოთ: შენდა: დედაო: საუკუნეთა: ღ̃თისა: სიტყუისაო: მანგლისისა: ღ̃თის: მშობელო: და: ძელო: ცხოვრებისაო: რომელსა: ზედა: დამსჭვალულ: იქმნა: უფალი: და: ღ̃თი: მკსნელი: კაცთა: ნათესავისა: რაოდენ: აურაცხელ: და: კაცთაგან: გამოუკულეველ: და: მოუგონებელ: არს: ჩუენზედან: უთვალავნი: და: აურაცხელნი: მიუწდომელნი: მდიდარნი: და: უხუნი: წყალობანი:. შენნი:: ანუ თუ:. აწ:. რაოდენნი:. ქებისა:. მადლობისა:. და:. ვედრებისა:. კმა:. ალვწიოთ:. ყურთა:. მომართ:. თქუენთა:. ულონო:. ვართ:. რამეთუ: ბუნება:. ანგელოზთა:. ვერ:. შემძლებელ არს:. ქებად:. დიდებისა:. შენისა:. არამედ:. კაცთა:. ვითარმედ:. ძალუც:. ქება:. დიდებისა:. შენისა:. და:. მეტყუელებად:. წმიდაო:. ყოველთა:. არსთა:. უვალრეს:. ალმატებულესო:. მ̃ღთის:. მშობელო:. რამეთუ:. ესე:. არს:. ჭეშმარიტი:. და:. მოკლე:. სახელი:. შენი:. დ̃და:. მღთისა:. ქალწული:. ყ̃დ:. წმიდა:. უფროსად:. კურთხეული:. ჭეშმარიტად:. მღთის:. მშობელი:. მარიამ:. რამეთუ:. შენ:. მიერვე:. მოცემულარს: ჩვენდა:. მომართ:. სიბრძნე:. სიმდაბლე:. სიუხვე:. და:. სიყუარული:. და:. შენდა: მომართვე:. შენგან:. შენ:. მიერსავე:. შევსწირავთ:. შენ:. გამოუკულეველად:. მშობელო:. მეუფისაო: მოწლედ: და: შევრდომით: კნინსა: ამას: ქებასა: და: დიდებასა: და: მადლობასა: ეჰა: სავანეო: ყ̃დ: წმიდაო: სერაბინთა: განსვენებულისაო: ბჭეო: საცნაურო: რომელი: განვლო: საუკუნეთა: ღ̃თნ: ნიჭო: ღთისაგან: კაცთა: მომართ: და: კაცთაგან: ძღუენო: მისდამი: ჵი: ყ̃დ: საგალობელო: მშობელო: რომელმან: მზე: სიმართლისა: იტუირთე: მთიებისა: პირველად: უწინარეს: შობილი: მუცლითა: უბიწო: და: სავსეო: მადლითა: და: დიდებითა: წმიდისა: სამგამოვანისათა: ეჰა: სამკუიდრებელო: კეთილთა: მის: საუკუნეთაო: სძალო: ყ̃დ: მანგალ: შეუხებელო: უსძლოო: დედაო: ევმანოელისაო: სადგურო: სულისა: წმიდისაო: ტაბლაო: სულიერისა: მის: ცხოვრებისაო: მტუირთველო: მანანასაო: ტაკუკო: ოქროსაო: კიდობანო: სჯულისაო: ოქროვან: ქმნილო: სულითა: მცხედარო: მეუფისაო: სასანთლეო: ნათლისაო: ტაძარო: სიწმიდისაო: წყარო: უკუდავებისაო: მნებებელო: ყოველთა: ცხოვნებისაო: ღრუბელო: და: ცაო: მიუწთომელისა: მადლისაო: საყდარო: ყ̃დ: წმიდაო: ზესთა: ქერაბინთაო: კუერთხო: ჰაროնისო: აღყუავებულო: იაკობის: ხილო: კიბეო: ცადმდე: აღწევნულო: მოსეს: მიერ: განცდილო: მაყუალო: შეუწველო: და: დანიელისგან: ხილულო: მთაო: გამოუკუეთელო: გედეონის: საწმისო: მღთაებისა: ცვარითა: ალსავსეო: ესაიას: მიერ: მოსწავებულო: ნაკუერცხალო: ცეცხლისაო: დავითის: საგალობელო: და: ყოველთა: წინასწარმეტყუელთა: მიერ: პირად: პირადად: მოსწავებულო: საუნჯეო: დაულევნელო: ცხოვრებისაო: პატიოსანო: მეფეთა: კეთილად: მსახურთაო: შვენიერებაო: მღუდელთ: მთავართაო: სიქადულო: წარჩინებულო: კრძალულთა: მღუდელთაო: ეკლესიისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურყეველო: გოდოლი: მეფობისა: დაურღვეველო: ზღუდეო: ნათლისა: ჩუენისა: სრულებაო: და: სულისა: ჩუენისა: სასოებაო: მოციქულთა: მიერ: ღ̃თის: მშობლად: ქადაგებულო: მღუდელთ: მოძღვართა: და: მოწამეთა: აღსარებულო: და: ყოველთა: მართლ: მორწმუნეთა: მიერ: თაყუანის საცემელო: დიდება: შენდა: დაცემაო: ეშმაკთაო: აღდგომაო: კაცთა: ნათესავისაო: და: საცდურისა: ფარაოს: დამთქმელო: მორჩო: იესეს: ძირისაგან: ფურჩუნით: მორჩ: აღყუავებით: აღმოსრულო: რომლისათჳს: იტყოდა: წინასწარმეტყუელი: კმა: მაღალი: მდინარე: ესაია: ვითარმედ: ნეტარ: არს: ძირი: იესესი: რამეთუ: აღმოსცენდეს: ყუავილი: ძირთაგან: მისთა: ვითარმედ: ძუელნი: და: იგავითა: თქმულნი: შენთჳს: მოასწავებდეს: ახალთა: ამათ: და: ახალნი: ესე: ძუელთა: დაამტკიცებენ: პირველი: იგი: გურიტი: უდაბნოს: ქადაგი: საშოთ გამო: აღმღერებული: და: შენდამო: თაყუანის: მცემელი: რამეთუ: შენ ხარ: ჭეშმარიტად: ცხოველი: იგი: წიგნი: რომელსა: ზედა: დაიწერა: სიტყუა: მამისა: ცხოველს: მყოფელითა: მით: კალმითა: სულისა: ყოვლად: წმიდისათა: რამეთუ: არავინ: არს: თჳნიერ: შენსა: გარეშე: და: შენ ხარ: ჭეშმარიტად: მომსპოლველი: ცოდვა: განწირულებისა: და: აღმკოცელი: წყლულებისა: შუა: მდგომელი: მეოხი: მფარველი: შესავედრებელი: და: წყალობისა: მწდეველი: და: თავს მდებელი: და: ცვა: ფარვით: მნებებელი: ცხოვრებისა: ჩუენისა: და: შენ მიერვე: ვითხოვთ: ყოველთა: შემწისა: და: უხვად: წყალობისა: მომნიჭებელისა: აურაცხელისა: შენისა: მეოხებისათა: მოიხილე: ჩუენზედა: რომელთა: ყოველი: სასოება: ჩუენი: შენდა: მომართვე: დაგუიც: რომელიცა: ესე: ღირს მყავ: მონათესავე: სოლომონისი: და: ძუელიდგან: შემდგომი: მისი: მეფედ: მსაჯულად: და: განმგებელად: ერსა: ამას: ზედა: წილხდომით: შენდა:. ხვედრებულსა: რომელი: მოიყიდა: ძემან: და: ღ̃თნ: ჩუენმან: პატიოსნითა: სისხლითა: თჳსითა: და: შენ ძლით: მიპყრიეს: და: ვმართებ: და: განვაგებ: შარავანდედთა: მეფობისა: ჩუენისათა: ვითარცა: ჯერ: იჩინო: სიწმიდემან: თქუენმან: ეგრეთ: დაგუიცვენ: და: წარმართენ: სკიპტრა: მეფობისა: ჩუენისა: უძლეველითა: მაგით: მძლე: მყოფელისა: და: განმამკნობელისა: ჩუენისა: მეფობისა: საფარველითა: მიუახლებელისა: მადლისა: და: შეწევნისა: თქუენისათა: შემწისა: და: მტერთა: ჩუენთა: მძლეველისათა: შენ: სურნელებაო: ნარდისაო: ვარდო: უხრწნელებისაო: და: ყოველთა: სურნელთა: შუენიერებაო: შენ: სანატრელო: და: სანატრელად: და: ღირსებით: გამოგიჩნდი: ჩუენ: უსაზღვროთა: წყალობითა: შენითა: და: წარიოტენ: მტერნი: და: მბრძოლნი: ჩუენნი: ხილულნი: და: უხილავნი: ნიჭითა: შენდა: მონიჭებულითა: რომლისა: მიერ: დაიხსნა:. წყევა:. პირველისა:. მამისა:. ურჩებისა:. მიერ:. მოწევნული:: და:. გარდაფენილი:. ყოველთა:. შვილთა:. მისთა:. ზედა:. რამეთუ:. შენ:. მიერ:. დაეგო:. მტერობა:. და:. ყო:. მშვიდობა:. ცასა:. და:. ქუეყანასა:. და:. შენ:. მიერვე:. მწყობრობენ:. ანგელოზნი: და:. კაცნი:. ზოგად:. რომელი:. ესე:. ტაძარსა:. დიდებისა:. ვხედავ:. ეს-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რეთ:. ვგონებთ:. ვითარმედ: ცათა: შინა: მდგომარე: ვართ: ამის გამო:
სურვიელად: ძლუნის: ვმრთმელობთ: შენდა: მომართ: მიზეზო: არსებისა:
ჩუენისაო: დალაცათუ: უსიტყუელ ვართ: ცოდვათა: ჩუენთაგან: არამედ:
ნუ: მოიხსენებ: უსჯულოებათა: ჩუენთა: არამედ: მსთვად: მეწიენ: ჩუენ:
წყალობანი: შენნი: და: ნუ: დაგვაგლახაკებ: ჩუენ: მდიდართა: შენთა: მო-
წყალებათაგან: არამედ: ბჭეო: ცათაო: განგუიღე: ჩუენ: კარი: წყალობი-
სა: ხოლო: მერმესა: მას: საუკუნესა: წარგუიძღუ: სავანეთა: მათ: მართალ-
თა: საშვებელისათა: ნათელსა: შინა: ცხოველთასა: ადგილსა: მწვანვილო-
ვანსა: სადა: იგი: მიხედავს: ნათელი: პირისა: ძისა: შენისა: ყოველთა: სა-
უკუნითგან: სათნო: მყოფელთა: შენთა: თანა: და: მოგუმადლე: სასუფევე-
ლი: შენი: და: გამომზარდენ: ჩუენ: გამოუთქმელთა: საუკუნეთა: კეთილთა:
ძისა: შენისათა: და: ღირს: გუყუენ: მიუწდომელსა: და: ნეტარსა: ცხოვრე-
ბისასა: და: მეოხებათა: თქუენთა: მანგლითა: განწმიდე: ყოველი: ღვარძლი:
გულთა: და: თირკმელთა: ჩუენთა: და: სამღთოდ: მუშაკად: ძისა: შენისა:
გამომაჩინე: და: აღმძარ: შეწირვად: და: ღირს ყოფად: შენდა: ძღვენთა: და:
ვედრებათა: ამათ: რამეთუ: მცირეთა: და: კნინთა: ამათ: შესხმათა: და: თხო-
ათა: თანა: მიგიძღვანეთ: უნდო: და: მცირე: ესე: ძღვენი: და: შესაწირავი:
მანგლისისა: ღ͠თის: მშობელსა: და: ძელსა: ცხოველს: მყოფელსა: ვიგულეთ: და:
ვიგულს მოდგინეთ: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: და: შემოგწირეთ: ყოვლად:
დიდებულსა: და: ზესთა: აღმატებულსა: ტაძარსა: და: საყოფელსა: თქუენ-
სა: მანგლისისა: ღ͠თის მშობელსა: და: ძელსა: ცხოველს: მყოფელსა: სოფე-
ლი: მეთრევანა: თრიალეთზე: ყოვლის: მისის: სამართლიანის: მზღვარითა:
მთითა: და: ბარითა: სათიბით: და: უთიბითა: წყლითა: წისქუილითა: ყოვ-
ლითა: საცილებელითა: და: უცილებელითა: შემოგწირეთ:. მეფობისა: ჩუე-
ნისა: წარსამართებლად: და: ძეთა: ჩუენთა: სადღეგრძელოდ: ასე: რომე: არაფერის-
თანა: საჩუენო: სათხოვარი: და: გამოსაღები: არა: ეთხოებოდეს რა: არა: ღალა: არა:
კოდის პური: არა: საბალახე: არა: ნახირისთავი: არა: სამეკობრის მძებნელო:
არა: ულაყი: არა: გუთანი: არა: სამეჯოგო: არა: სამეჯინიბო: არაფერი:
არა: გეთხოებოდეს რა: მარიამობას: დღეს: მანგლელი: თავის: კრებულით:
ბატონის: მამის: ჩუენის: მეფის: ვახტანგისათუის: ხოლო: სარკინოზთა: ენი-
თა: შაჰნავაზ: წოდებულისათუის: ჟამს: სწირევდეს: და: მის: სულს: მოიხსე-
ნებდეს: და: ჩუენ: და: ძეთა: ჩუენთა: სადღეგრძელოდ და: სასულიეროდ:
მოგუიხსენებდენ: და: მარიამობას: დღეს: ნურა: მანგლელი: წირვას: ნუ:
დაგუაკლებს: ჰი: ღ͠თის: მშობელო: დედაო: მკსნელისაო: რომელსა: გშვე-
ნის: ქებათა: შინა: შვენიერება: წყალობათა: შენთა: და: სახიერებათა: მი-
ერ: მუკლ: მოდრეკილმან: და: მვედრებელმან: გკადრეთ: და: მოგახსენეთ:
უწყი: წმიდაო: და: მეცნიერ: ხარ: და: არა: რა: არს: დაფარულ: წინაშე:
შენსა: ვითარმედ: ჭეშმარიტითა: გულითა: და: უეჭველითა: სულითა: მოვი-
ღებ: საწირველსა: ამას: ყოვლისურთ: კრძალულებით: უკრძალველი: ესე:
გკადრეთ: და: შემოგწირეთ: ასე: რომე: თქუენგან: კიდე: სხვათა: არავის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელეწიფებოდეს: აწე: შეიწირე: სასოებაო: ჩუენო:მანგლისისა: ღ͞თის მშობელო: ვარდო: დაუჭნობელო: და: ძეო: ცხოვრებისაო: მცირე: ესე: შესაწირავი: და: მსახურება: ჩუენი: ვითარცა: ძემან: შენმან: და: ღ͞თნ: ჩუენმან: შეიწირნა: ორნი: იგი: მწულილნი: ქურივისანი: ვითარცა: აბელის: ძღვენი: ვითარცა: ნოეს: მსხვერპლი: ვითარცა: აბრამის: საკურთხნი: ვითარცა: სამოელის: დასამშვიდებელი: ვითარცა: მოსეს: მიერ: შეწირული: საკმეველი: ვითარცა: ჰარონის: მსახურება: და: იეფთაესი: იგი: ალთქმული: მსხვერპლი: ეგრეთ: გკადრეთ: გულითა: მდაბლითა: სულითა: შემუსრვილითა: შემოგწირეთ: და: გკადრეთ: უნდო: და: კნინი: ესე: ძღვენი: და: შესაწირავი: ესე: ყოვლითურთ: სრულობით: და: უნაკლულოდ: ყოვლის: ადამის: მონათესავის: კაცისა: და: თესლ: ტომისაგან: მოუდევარ: მოუსარჩლელად: ვიძლუნისმთელეთ: მცირე: ესე: მსახურება: და: ძღვენი: მანგლისისა: ღ͞თისმშობელო: და: ძელო: ცხოველს: მყოფელო: და: დედაო:. უზესთაესო: დიდებისაო: ასულო: დავითისო: ქალწულო: ყოველთა: ბუნებათა: დამბადებელისა: მშობელო: ღ͞თისაო: ბუნებით: ჭეშმარიტად: ღირს: ქმნილო: სამოთხეო: პირმეტყუელო: ჭეშმარიტად: აღვიარებ: და: ვიყნოსებ: გულთა: შინა: ჩუენთა: რამეთუ: ყოველსავე: შემძლებელ ხარ: რომელიცა: შენდა: მომართ: იძლუნის: მამრთმელებს: და: ოხათა: თქუენთა: მომართ: თხოვისა: მოქენობს: მიმნიჭებელ ხარ: მოუკლებელად: და: აწ: შევრდომით: მოქენე: ვართ: და: გვედრებით: ექმენ: სიმტკიცე: შეურყეველ: სულსა: ჩემსა: რომელმან: შევ: (sic) სიტყუით: დამამტკიცებელი: ცათა: დამბადებელი: სოფლისა: შეიწირე: და: მიითვალე: ჩუენგან: შემოწირული: მცირე: ესე: ძღვენი: და: განგუილე: და: ანუ: დაგუიხშავ: კარსა: წყალობისასა: მოყავ: ყურ: შენი: და: ისმინე: ჩუენი: და: ნუ: ცოდვათა: ჩუენთაებრ: მომაგებ: ჩუენ: არამედ: გუცევდ: გუფარევდ: და: განგუაძლიერე: და: აღგვამაღლე: ღირს ყოფით: წარმართებად: ცხოვრებასა: მეფობისა: ჩუენისასა: ძეთა: და: ძის: ძეთა: ჩუენთა: დაიფარენ: იგინი: დღესა: წყობისასა: საფარველითა: ფრთეთა: შენთასა: და: შთაუსუენე: გულთა: შინა: მათთა: ხატი:და: სიტყუა: სიყუარულისა: შენისა: ქმნად: ჭეშმარიტისა: სასჯელისა: შენისა: და: გუიკსნენ: და: განგვარინენ: მძლავრთა: ამათ: ისმეილის: ნაყოფთაგან: და: აგარის: ნაშობთაგან: რომელნი: გარე: მოდგომილ: არიან: გარემოს: სამეფოსა: ჩუენისა: და: ყოვლითურთ: შემოზღუდვილ: ვართ: ზახებათა: მათთა: სილალითა: რამეთუ: აჰა: ესე რა: სთნდა: მეუფესა: სიკეთე: შენი: ყოველთა: ნათესავთა: სამკაულო: მოგცნა: მადლნი: დიდებულნი: ძლიერმან: ზეგარდამო: სულთა: ჩუენთა: განმანათლებელად: სასწაულთა: სიმრავლე: რომელსა:პირნი: ჩუენნი: ვერ: შემძლებელ: არიან: ჯეროვნად: ქებად: შენდა: ქალწულო: განაქარვე: ამპარტავნებითი: იგი: ზრახვა: მათი: ჩუენზედა: ვითარცა: იგი: აქიტოფელისი: და: მძლავრისა: ფარაოსი: და: კუალად: ოდეს: მოვიდეს: მსაჯული: იგი: სიმართლისა: მხოლოდ: შობილი: ძე: შ͞ნი: განსჯად: და: მიგებად: კაცად: კაცადისა: თუითეულთა: საქმეთა: მათთა: მის: მსაჯუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლისა: დედაო: შესავდრებელო: ჩუენ: შენდამო: წილხდომილთაო: მართლ.
მადიდებელთა: შენთა: მორწმუნეთაო: და: აწ: მარჯუენითთა: ძისა: შენისა:
მდგომარეთა: თანა: ღირს: გვყუენ: და: გვასმინე: კმა: იგი: საუფლო: და:
სანატრელი: ვითარმედ: ჰქუას: მართალთა: მოვედით: კურთხეულნო: მამისა:
ჩემისანო: ჩემთანა: გიხაროდენ: და: დაიმკჳდრეთ: სასუფეველი: თქუენთუ-
ის: ნათელი: განბრწყინვებული: ეგრეთ: თანა: მდგომარე: და: კმისა: ამის:
მსმენელი: გუყავ: მეოხებითა: შინა: სამარადისოდ: უხრწნელებისა: სავანეო:
მარიამ: ღ̃თისა: სძალო: და: შეიწირე: ჩუენგან: შემოწირული: მცირე: ესე:
შესაწირავი: თრიალეთზე: სოფელი: მეთრევანა: სურვილით: ესრე: სახედ:
შემოგწირეთ: და: დაგიმტკიცეთ: აწე: ვინცა: ნახოთ: სიგელი: და: ბრძანე-
ბა: ესე: ჩუენი: შემდგომად: ჩუენსა: მომავალთა: მეფეთა: დედოფალთა:
ანუ: სახლისა: ჩუენისა: გამგონეთა: ვექილ: ვეზირთა: მდივანთა: მწიგნო-
ბართა: და: ყოველთა: კარითა: ჩუენითა: წარვნელინთა: მოსაქმეთა: და:
საქმისა: მოქმედთაგან: დიდთა: და: მცირეთა: ერთობილთა: დაუმტკი-
ცეთ: და: ნურვინ: უშლით: მტკიცედ: და: წმიდად: ბრძანებულსა: ამას:
ჩუენსა: თუინიერ: სიმტკიცისა: და: თანა: დგომისაგან: კიდე: აწე: ვინცა:
და: რამანცა: ადამის: მონათესავემან: კაცმან: მეფემან: ანუ: დედოფალმან:
ანუ: სამღუდელოთა: მწყობრთაგანმან: ებისკოპოზმან: წინამძღვარმან: მღუ-
დელმან: დიაკონმან: კანდელაკმან: და: ყოველთა: მოყუასთაგანმან: ანუ
თუ: დიდებულმან: აზნაურმან: და: მსოფლიოთა: კაცთაგანმან: ანუ თუ:
დედათაგანმან: ვინმე: დიდმან: ანუ: მცირემან: გინათუ: სჯულის: გარდა-
მავალმან: სარკინოზმან: სპარსმან: გინათუ: მწვალებელმან: ანუ: თუ: სხვა-
თა: სჯულის: მაცილობელთა: ჯუარისა: და: ხატთა: მბრძოლთა: და: არა:
თაყუანის მცემელთაგანმან: ანუ თუ: მშობელთა: ქრისტიანეთაგანმან:თავით:
თუისით: უარის მყოფელთაგანმან: ანუ: თუ: მეფეთა: ძიერ: ტყუე: ქმნილ-
მან: და: უნებლიეთა: დაცემულთაგანმან: ვინმე: ამა: ჩუენგან: მტკიცედ:
და: შეუცვალებელად: შეწირულისა: ამის: სოფლისა: და: წიგნისა:კელ ყოს:
შლად: ქცევად: და: შეცვალებად: ღ̃თო: ჩუენო: ჰყუენ: იგინი: ვითარცა:
ურმის: თვალი: და: ლერწამი: წინაშე: პირსა: ქარისასა: და: აღედვას: ცეც-
ხლი: თავსა: ზედა: მათსა: ვითარცა: თივათა. და: მწვანეთა: ველისათა: და:
მტერთა: მათთა: კელითა: დაითრგუნენ: ვითარცა: თიკა: უბნისა: და: იყუ-
ნენ: გზანი: მათნი: ბნელ: და: საცთომელ: ბრძანებითა: საუფლოთა: ცოც-
ხლივ: შთაკდენ: ჯოჯოხეთად: და: იყავნ: სავანე: და: სამყოფი: მათი: ცეცხ-
ლი: დაუშრეტელი: და: მატლი: დაუძინებელი: და: ანგელოზმან: მაღლი-
სამან: ძლიერად: აჰირვენ: მას: და განუგრძევ: ცხოვრება: მათი: მქენჯნელ-
თა: ტარტაროზთა: თანა: და: ყუენ: იგინი: ვითარცა: მადიამი: და: ვითარ-
ცა: იაბი: კევისა: კიშონისასა: ყოველი: გაგებული: მისი: შეცვალენინ:
ბოროტად: და: ბოროტისა: წილ: შერისხდი: შენ: ღ̃თო: ყ̃დ: ძლიერო:
სამებაო: ერთარსებაო: და: კვალად: რომლისა: არს: ქარტა: და: სიგელი:
ესე: შენ: შერისხდი: ზესთა: ყოველთა: უაღმატებულესო: დედაო: ყოველ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა: უალმატებულესო: დედაო: ყოველთა: შემოქმედისაო: მანგლისისა: ღ̃თის: მშობელო: და: ძელო: ცხოვრებისაო: იძიე: შური: მისგან: აღმოფხუარ: თესლითი: თესლამდე: ძირი: და: ნაყოფი: მისი: კრულმცა: არს: ბრძანებითა: მით: კმითა: საუფლოთა: ზეცათა: შინა: და: ქუეყანათა: ზედა: სული: და: კორცი: მისი: მკუდარი: და: ცოცხალი: მისი: საფასე: და: საუკუნე: მისი: სარეცელი: და: ცხედარი: მისი: სავარძელი: და: სალხინებელი: მისი: სმა: და: ჭამა: მისი: აღდგომა: და: დაჯდომა: მისი: სამოსელი: და: საბურველი: მისი: სიტყუა: და: სათქმელი: მისი: თქმული: და: გაგებული: მისი: სიცილი: და: სიხარული: მისი: ალსანთებელი: და: საკმელი: მისი: მკსენებელი: და: შემწირველი: მისი: ალმამკუეთელი: და: შთამსვენებელი: მისი: და: დანაშთომი: მისი: და: ნუცა: მცა: გამოიღებს: ორნატნი: ვენაკი: და: ხილი: ნაყოფსა: მის: კაცისათუის: არა: განზარდოს: ქუეყანამან: და: მწვანეთა: ველისათა: ყოველივე: ხვასტაკი: და: ოთხფეკი: მისი: არა: მოსცეს: ცამან: ცვარი: და: ჰაერმან: დამშვიდება: მის: კაცისათუის: და: ყოველიმცა: განგებული: მისი: მოიშლების: კრულმცა: არს: ოთხთა: პატრიაქთაგან: მათთა: მიტრა: პოლიტთა: ეპისკოპოზთა: ქორ: ებისკოპოზთა: და. შვიდთა: მათ: კრებათაგან: შემცა: ედების: ძრწოლა: კაენისა: შვიდ გზის: შურისძიება: ბილწისა: ლამექისა: კეთრი: გეზისი: ცოცხლივ: დანთქმა: ფარაოსა: და: დათან: და: აბირონისი: დაწვა: ოფონ: და: ფინეზისი: მატლთა: ძიერ: ცოცხლივ: შეჭმა: ჰეროდესი: მეხისტეხა: დიოსკოროსი: მყისსა: შინა: სულთ: წარკდომა: ანანია: და: საფირისი: ერთგზის: შეწირულისა: აგარაკისათუის: ნისტორ: და: დიოსკორე: ტიმოთე: გაიანოს: ივლიანე: პავლე: კაწარელი: სამოსტელ: ბორსნაფე: და: აერონ: სიცრვისა: მჭკურველი: ათთორმეტთა: ამაჟ: ქართა: მწვალებელთა: თანამცა: არს: ნაწილი: და: სამკუიდრებელი: მისი: კუინოპ: სიმონ: მოგუისა: ილიოდორესთანამცა: ისუფევს: სული: მისი: მასზედამცა: იქმნების: კმა: იგი: საშინელი: სისხლი: მაგისი: ჩუენზედა: და: შვილთა: ჩუენთა: ზედაო: ქრისტეს: ჯ̈ჳარს: მცმელთა: თანამცა: გამცემელისა: იუდას: და: მარცხენით: ჯ̈ჳარცმულისა: ავაზაკის: თანამცა: მატლსა: მას: დაუძინებელსა: და: ცეცხლსა: მას: დაუშრეტელსა: შინა: იყავნ: ცხოვრება: და: მოქალაქობა: სულისა: მისისა: და: მას: ზედა: ასდა: მერვისა: ფსალმუნისა: წყევამც: სრულ: იქმნების: და: ამა: წმიდათა: ზემო: წერილთა: წმიდათაგან: შეჩუენებულმცა: არს: და: ამოფხრულ: და: აღმოკოცილ: თესლითი: თესლამდე: ნაყოფი: მისი: და: დღესა: მას: დიდსა: განსჯისასა: მარცხენეთა: მათ: თანამცა: მდგომარე: არს: და: კბილ: ღრჭენილთანამცა: წარიტაცებიან: საშინელად: საზარელნი: და: უწყალოდ: მქენჯნელნი: ჰაერის: მცველნი: ტარტაროზნი: განუკითხველადმცა: შეჰრისხდები: შენ: ღ̃თო: დაუსაბამოო: და: ნურარათამცა: სინანულითა: ნუ: იქმნების: კსნა: სულისა: მისისა: ცეცხლისაგან: დაუშრეტელისა: და: მატლისაგან: და: უძინებელისა: ესრეთ: განისვენოს: აწდა: უკუნისამდე: ხოლო: დამამტკიცებელმან: ამა: წიგნისა: და: სიგელისამან: ესე: ვითა: არის: წყევისაგან:

ეროვნული ბიბლიოთეკა



განარინენ: სულნი: მისნი: და: ძის ძენი: და:და: (sic) თესლტომნი: მისნი: და: არა: შეეხოს: მას: ბოროტი: და: არცა: განიპყრნეს: კელნი: თუისნი: უსჯულოებად: და: არა: შესცვალონ: შეწირული: წიგნი: ესე: დაამტკიცენ: ღ̃თნ: ყოველთა: დამამტკიცებელთამან: სულითა: აბრაჰამისათა: სულითა: მოსიანითა: სულითა: დავითიანითა: სულითა: სიბოროტისა: მდევნელისათა: სულითა: ყოვლად: წმიდითა: და: ნუგეშინის: მცემელისათა: დაიწერა: წიგნი: და: სიგელი: ესე: ყოვლითურთ: უნაკლულოდ: და: ყოველთგან: შეუცვალებელი: ბძანება: და: ნიშანი: ესე: შემოწირულობისა: ინდიკტიონსა: მეფობისა: ჩუენისასა:. ა̃:. ქ̃კსა: ტ̃ნივ: დეკენბერსა:. ა̃:. ოდეს: ვქმენით: ტახტისა: და: ხარისხისა: თქვენისა: მპყრობლად: ჩუენი: მრავალ გვარად: ნამსახური: და: სამღთოსა: სწავლასა: ზედა: კეთილად: აღზრდილი: და: წმიდათა: ღმერთ: შემოსილთა: მამათა: წესსა: ზედა: მტკიცედ: მდგომარე: და: მათთა: მართლისა: სარწმუნოებისა: აღმასრულებელი: ქსნის: ერისთავთ: სახლისა: ძე: მანგლელ: ებისკოპოზი: ევდემოზ: აღიწერა: კელითა: ფ̃დ: ცოდვილისა: კელმწიფის: კირის: დეკანოზის: შვილის: აბელისათა: ხვეულად: მეფე გიორგი ვამტკიცებ. თამარ. ლევან

ბეჭედი წარწერით: ბატონიშვილი ბაგრატ

სხვა ხელით: ქ: გიხაროდენ:. მაყვალო:. მგზებარო:. და:. ყოველთა: მოსავთა:. შენთა:. შემწეო: ყ̃დ: ბიწ:. შეუხებელო: ყ̃დ: პატიოსანო: დედაო: ღ̃თისა:. მთა: პოხილო: მთა: შეყოფილო:. მთაო: რომლ:. თნდტა:. ქრისტესა:. დამკვიდრება: შენზედა: შენ: შემწე: მეყავ:. მოსავსა: და: მსასოებელს: მონას: შენს: ვახტანგის: ქრისტიანობით: წოდებულის: მეფის: შანაოზის: ძეს: სოლომანს: მისგან: ნაბოძები: სოფელი: ესე: ვამტკიცეთ:. ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობრათ

ხვეულად: სულეიმან

თვით სიგელზე შუაში ბეჭედი წარწერით: ბატონიშვილი სახლთუხუცესი თეიმურაზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1682 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 23+, დაწერილი ქაღალდზე ზომით $21^3/_4 \times 13$ სანტიმ., მიცემული შანთიძეების მიერ.

ქ: ნებითა: და: შეწევნითა: ღ́თისათა: და: მეოხებითა: სიონისა: ღ́თისმშობელისათა: ესე: წიგნი: მოგართვით: ჩუენ: შანთიძეებმა: ზაალამ: აბულამ: პატატამ: და: ბერიამ: შვილთა: ჩუენთა: იმედამ: პატატამ: სიყმიამ: გიორგიმ: და: გარსევან: შვილთა: და: მომავალთა: სახლისა: ჩუენისათა: თქუენ: სიონთა: ღ́თისმშობელსა: და: თბილელ: მთავარ ეფისკოპოზსა: იოსებს: ასრე: რომე: ალგეთის: პირზე: ხეკორძის: ბოლოს: სასალტიას: მიწა: გუექირა: ჩუენა: თქუენ: წამოგვედავენით: და: კელმწიფესთან: სამართალში: მიგვიყვანეთ: ფიცი: შემოგვაგდეთ: და: ჩუენ: ვერ: შემოგფიცეთ: და: თქუენი: მკუიდრი: მამული: თქუენვე: დაგანებეთ: ვერა: ჩუენი: გუარი: და: ნათესავი: ველარ: წამოგედაოს: და: არცარა: კელი: ჰქონდეს: მაგ: მამულთან: არის: ამისი: მოწამე: მდივანბეგი: ორბელიშვილი: ვახტანგ: მდივანი: სულხან: მდივანი: როსტევან: და: მდივანი: ოთარი: ნაზირი: ზალინა: ჩუენი: მეზობლები: ხიზანაშვილი: გაბიტა: ხიზანაშვილი: ალდგომელა: მერაბაშვილი: ბერიკა: დაიწერა: წიგნი: ესე: ქ́კს: ტო: აგვისტოს: ოცდაოთხს:

4 ჯვარი

1686 წ. მცხეთის სიგელი № 321, დაწერილი ქაღალდზედ.

ქ:. ესე:. სათავდებო:. წიგნი:. მოგრთვი:. მე:. კაველათელმა: შვანდირას: შვილმა:. პაპუნამ: თქვენ: ბტონს:. კ́ზს:. თუ:. მოხისიდამ:. ჯმასპას:. შვილი:. პაატა:. აიყაროს:. ამ:. ერთს:. წელიწადს:. ძროხისთვინ:. ძროხის:. მომრთმევი:. ვიყო:. და:. ცხვარისთვის:. ცხვარის:. ცხენისათვის:. ცხენის:. კაცისათვის:. კაცის:. და:. დედაკაცისთვის:. დედაკაცის:. თუ:. ამაში:. გაგიმტყუნდეთ:. გიორგის:. მეფის:. შეცოდებათ:. გკითხე:. და:. შენის: სვეტის:. ცხოვლის:. დაქცევათ: ქ́კს: ტოდ:.

+

1687 წ. მხეთის სიგელი № 216, დაწერილი ქაღალდზე ზომით $111 \times 21$ სანტიმ., მიცემული ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ.

ქ:. ეჰა: ადამისა: ამაღლებაო: და: ევას: მწუხარებისა: დამხსნელო: უხილაო: და: გონება: მიუწდომელო: დაუსაბამო: დაუსრულებელო: ღმერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თო: რომელსა: მართალი: გიყუარს: და: ცოდვილ თა: სწყალობ: მას: ჟამსა:
ოდეს: წყალობითა: შენითა: ძე: მაღლისა: კელმწიფისა: მეფე: პატრონი:
გიორგი: საკელმწიფოსა: თჳისსა: საქართველოსა: ტახტსა: ზედა: მჯდომარე:
იქმნა: და: კელმწიფედ: ეკურთხა: ზეგარდმო: შენი. აუარებელი: წყალობა:
ჩუენ: ამილახორის: შვილს: პატრონს: ნიკოლოოზზედ: გარდმოფენილ იქმნა:
და: მოგვებოძა: კელმწიფის: მეფის: პატრონის: გიორგისაგან: სრულიად:საქარ-
თველოსა:კათალიკოზობა:და: დედა:ქალაქსა: მცხეთისასა:სამეუფოსა: კათოლი-
კე: ეკლესიასა: ტახტსა: ზედა: მჯდომარე: ვიქმენით: და: კათალიკოზად:
ვეკურთხენით: ქ҄ კსა: ტჲვ: და: ვიწყევით: ჟამსავე: ამა: ქრონიკონისასა:
ტაძრისა: ამისა: შეწირვა: შემკობა: და: შემატება: ხოლო: უწყით: ვითაარ:
კნინ: საჩინო: არს: ჴსოდენი: მცირე: შესაწირავი: წინაშე: თქუენსა: მაგრამ:
უწყის: სახიერ. კაცთ: მოყუარებამან: თქუენმან: გულმხურვალედ: აღვძრულ-
ვარ: სამსახურებლად: თქუენდა: და: მივჰყავით: კელი: და::., ძველითგან:
დაფუძუნებული: კედელი: სუეტისცხოვლის: ტაძრისა: მკარსა: სამკრეთისა-
სა: ახლად: აღვაშენეთ::., კიდევე: ხუთი: სამხრო: გამოუცვალეთ: და: კელ-
ახლად: აღვაშენეთ: :., კიდევე: სვეტზედ: სადაფქარის: ჩარდახი: გვაკეთეთ.
და: მის: გარეშემო: ხომლითა. და: კანდლით: შევამკევით: ძირს: მავთულის:
ფანჯარა: შემოვავლეთ: და: სვეტი: გარეშემო: მოვჰფინეთ::., ამავე: სამი-
რონისა: და: სვეტის: პირდაპირ: ჩრდილოეთის: კერძ: დავახატვინეთ: და:
ერთი: ხომლი: დავჰკიდეთ::., აგრევე: საყდრის: აირალისაგან: შევსწირე:
ერთი: თეთრის: დიბის: ბისონი: შვიდი: მურასა: ბისონის: ოქროს: ღილი:
ერთი: ისფერი: ხარა: ზარბაბის: სტიხარი::., ერთი: წყუილი: მურასა: საბუ-
კარი: შევაკერვინე:.:., გავაკეთებინე: ვერცხლის: ლიტრა. ერთი:. ვერცხ-
ლის: აზარფეშა: ერთი: დიდი: ვერცხლის: ჯამი: ერთი: ვერცხლის: სამარი-
ლე: ერთი::., აგრევე: შიგნით: ქუიტკირის: კედლები: სულ: დავხურე::.,
აგრევე: ერთი: დიდი: გულანი: დავაწერინე: და: მისად: საკადრისად: დავა-
ხატვინე::., კიდევე: ერთი: დაბადების: წიგნი: და: ერთი: დავითი: დავდევ::.,
აგრევე: ერთი: მაზარა: მარგალიტის: ტარფებითა: და: ოქრომკედის: დინა-
რით: შევაკერვინე::., კიდევე: ერთი: კელი: პერექლები: ხალასად: შევაკერ-
ვინე::., აგრევე: ერთი: მურასა: ყავარჯენი: გავაკეთებინე::., აგრევე: დიდს:
გვირგვინს: მრავალი: თვალი: მარგალიტი: და: ოქრო: შევმატე: და: შევამ-
კე::., არაგუზედ: კიდი: გავსდევ: და: გავაკეთე::., ანტიოქიასთან: დიდი:
ჩარდახი: დავდგი::., კიდევე მცხეთას: გალავანს: გარეთ: ქუიტკირის: სასახ-
ლე: ავაშენე: კარითა: და: ფანჯრით: მოვრთე: და: გავალესვინე::., მცხე-
თას: წლითი: წლამდი: ყოველს: დღეს: ალაპი: გავაჩინე::., კიდევე: სამირო-
ნე: ძირს: გარეშემო: სულ: ხალასად: ნაკურის: ხალიჩებით: მოვფინე::., აგ-
რევე: ერთი: ყუითელის: ავთრანგის: ხავედის: ბისონი: შევაკერვინე::., ერ-
თი: ოქროთ: დაფერილი: ვერცხლის: ჯვარსანთელი: გავაკეთებინე::., ერ-
თი: საძროხე: სპილენძის: ქვაბი: და: ოცდათი: თეფში: გავაკეთებინე::.,
ქალაქს: საყდარი: ლორფინით: გარდავსჭედე: და: შიგნით: გავლესე: და:

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავახატვინე: საფსალმუნე: დავდგი: ხომლი: და: კანდლები: დავჰკიდე::., ქალაქს: სასახლე: ავაშენე: და: გავაკეთე: და: ბევრი: შევმატე::., ერთი: კაი: ბაღი: ავაშენე::., ერთი: სვანი: კალატოზი: ქალაქს: დავასახლე::., ერთი: კაი: ზარი: ქალაქს: დავჰკიდე::., კოჟორზედ: ერთი: კარის: საყდარი: დავდგი: და: კაი: საზაფხულო: სასახლე: ავაშენე::.,დარბაზს:ერთი:კაი:საწნახელი: ავაშენე: თავის: მორთულობითა::., ყორანთის: თავს: ერთი: სოფელი: ავაშენე: და: ყორანთას: კაი: მარანი: დავდგი: მისის: მორთულობითა: და: ქვევრებითა: და: კაი: საწნახელიც: ავაშენე::., ციხედიდს: ზვარი. გავაკეთე: და: კაი: საწნახელი:. ავაშენე::., ძეგვის: ზურის თავს: კაი: თლილის: ქვის: საყდარი: ავაშენე::., აგრევე: გომს: კაი: მარანი: ავაშენე: და: ორი: საწნახელი: დავდგი::., სალხინოს: კაი: საყდარი: ავაშენე: კაი: სასახლე: და: მარანი: დავდგი: და: კაი: ბაღი: ავაშენე::., კიდევე: მეტეხს: ნამეტნავად: დაფუძნებული: და: დაძველებული: საყდარი. კელახლად: განვაახლე: და: გავაკეთე: და: იქავე: ზვარში: საწნახელი: ავაშენე::., მეტეხის თავს: სოფელი: სხერტა: ავაშენე::., კიდევე: სალხინოს: ორი: კუამლი: გლეხი: მებაღედ. დავასახლე: ერთი: ციხიდამ: თათრისაგან: დავიხსენ: და: მეორე: ისრე: ვიშოვნე::., აგრევე: აშენდას: ერთი: საყდარი: დავდგი: ერთი. ზვარი: ავაშენე: და: ერთი: კუამლი: კაცი: კჰალაძისაგან: ვიყიდე: და: აქავე: დავასახლე::., აგრევე: ატენს: ერთი: კუამლი: კაცი: დარჩიაშვილი: დავასახლე: და: აქავე: მარანში: ორი: დიდი: და: სამი: ცოტა: ქვევრი. ჩავდგი::., კიდევე: რუის: ვენაკი: ვიყიდე: და: ზურაბისაგან: ერთი: კუამლი: ვიყიდე: სვეტს: ცხოელს: შევსწირე: ის: ვენაკი: მივეც: და: ჩუენთვის: მოაღაპედ: დავაყენეთ: და: აშენდას. დავასახლეთ::., კიდევე: ალაიანში: საწნახელი: ავაშენეთ::., კიდევე: წეროანს:. ქვევრები: ჩავჰყარეთ: და: მარანი: ავაშენეთ::., მოხისის თავს: სოფელი: ახალშენი: ავაშენეთ: და: ერთი: ზვარი: ავაშენეთ::., ოსიაურთზედ: სოფელი: ბარალეთი: ჟამთა: ვითარებისაგან: აოკრებულიყო: და: ახლად: ჩუენ: ავაშენეთ: და: კაცნი: დავასახლეთ::., კიდევე: ახლად: ჩუენ: შევმატეთ: სამწყსოდ: სვეტს: ცხოელსა: წალული: სოფელი: უწლევი: და: სოფელი: ლოლეთი::., სხვა: ამასღა: გარდა: უწყის: ღ̃თნ: რა ერთისაცა: შემძლებელ. ვიყუენით: სვეტს ცხოელს: ნმეტანი: პატიოსნება: და: სიკეთე: შევმატეთ: სხვას: გარდაის: სამოცამდის: კუამლი: კაცი:. დაკარგული: და: განბნეული: ახლად: ჩუენ: მოგვიყუანია: და: კელახლა: ჩუენ: დაგვისახლებია: ქ̃კსა: ტ̃ოე:

გაკრული ხელით, სხვა მელნით: კიდევე: ამავე: ქრონიკონსა: გავაკეთებინე: ერთი: ვერცხლის: საცეცხური: და: ერთი: ვერცხლის. სასანთლე:, ორი. სპილენძის: ქვაბი: სამი: აზარფეში: და: ცხრა: ჯამი: კიდევე: ნასოფლარი: ბადანი. ავაშენე:, ძველს: წიგნებს: რა: გაახლება. ჩამატება. და: შეკურა: უნდოდა: ყუელა: გავაკეთებინე: და: თვით: თვისა. შიგან: სწერია:, კიდევე:

**ერთი: წინსაძღოლი: ჯვარი: თავიდ ბოლომდი: ოქროსი: მოვაჭედინე: და: მურასად: გავაკეთებინე:, *)**

სხვა მელნით: ერთი: კუამლი: კაცი: ხერხაულიძის: სიამარდისაგან: ვიყიდე: დ.: არა: შენდას: დავასახლე:, ერთი: კვამლი: კაცი: ჩიგიანა: შვილისაგან: ვიყიდე: და: ქალაქს: არის: ერთი: კელი: ბერძული: წიგნები: სვეტ: ცხოველში: დავდევ: ძეგვს: ქარვასლა: გავახლე: და: ერთი: ახალი: ჩარდახი: დავდგი: სპილენძის: ჯამი: შვიდი: თეფში: რვა: ქვაბი: ერთი: თავისის: ზარფუშითა:.

ხვეულად: კ῀ზი ნიკოლოზ

არშიაზე: ერთი: წინ: საძღოლი: ჯვარი: ოქროსი: მურასა: თვით: ის: მოწამე: არის: ათასი. ფლური: წავიდა: ჩემის: კონდაკით: მოგებული: ღ῀თი: არს: ამისი: მოწამე: და: სული: მცხეთელთ: აზნაურშვილებმა: იციან: ამაში: ტყუილი: არა: ურევია რა: გვირგვინი: ერთი: მურასა:თვალითა: და: მარგალიტითა:.

ხვეულად: კ῀ზი

1688 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 10, დაწერილი ქაღალდზედ ზომით $11^1/_2 \times 14$ სანტიმ., მიცემული ერეკლე I მეფის მიერ.

ქ: რა რიგადაც: ძველს: გუჯარში: სწერია: სიონთა: ღ῀თის: მშობლის: ყმების: სითარხნე: ჩუენც: ისრე გაგვითარხნებია: რომ: არას: ფერისთანა: საჩუენო: სათხოვარი: არ: ეთხოვებოდეს: და: ეს: სამი: კუამლი: კაცი: შერმაზანა: დავითა: და: რამაზა: ახლანდელნი: შეწირულნი: იყუნეს: ჩუენც: ისევ: საყდრისათვის: შეგვიწირავს: ქ῀კს: ტოვ

ხვეულად: ერეკლე

*) ეს წაშლილია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1688 წ. ნიქოზის საყდრის სიგელი № 1, დაწერილი ქაღალდზე ზომით
$18^{3}/_{4} \times 15$ სანტიმ., მიცემული გიორგი მეფის მიერ.

ქ. ჩუენ. მეფეთ: მეფემ: თვით: კელმწიფემ: პატრონმა: გიორგიმ: და:
თანა. მემცხედრემ: დედოფალთა: დედოფალმ: პატრონმ: ხვარამზან: ჩუენდა:
სადღეგრძელოდ: და. გასამარჯვებლად: ზემო: ნიქოზის. საყდრისა: ყმანი:
ქმათა: ვითარებისათა. სხვათა მეფეთაგნცა: მოკვეთილიყო: და: გარდაცული-
ლიყო. და. ახლა. მოკითხული: ვქენითა: ჩვენდა. სადღეგრძელოდ: შევწი
რეთ. ზემო: ნიქოს. ოთხი: საკომლო: კოდისა პური: მღთების: საყდარაში:
მართვემდენ:. კოდის: პურს ნელაშვილი: კობერელაშვილი: კენჭაძე. და.
უთხიაშვილი: და. ოთხისა. კომლისა. კაცისა: კოდის. პური: საბზე ჩვედა
გასამარჯვებლად: საყდარსა: შიგან: მიტნდენ: და: როგორც: სხვათა: ამა.
საყდარისა: ყმათან: კელი. არა. ქონდეს: ჩვენსა მოსაქმეთა: ნურცა. ამათან.
კელი. ვისმე აქუს: აწე. გიბძანებთა: ჩვენ კარისა: ვექილ. ვეზირნო. და.
სხვანო: მოსაქმენო: თქვენცა. ასე. გუთავეთ. რა რიგათაცა: ამა ჩუენსა.
ნწყალობელსა: სიგელში. ეწეროს. და ნუროდეს: ნუ: მოშლით: დიწერა.
ბაძნება. ესე ენკენისთვის ა. ქ̃კს. ტოვ

ხვეულად: გიორგი

სხვა ხელით:

ქ: ბატონის. ბიძას ჩვენის: სადღეგძელოდ: და. გასამარჯვებლად. ესე
მისი. ბძანება. ჩვენცა ასრე: დაგვიმტკიცებია:

ბეჭედი წარწერით: რტოდ ვარ დავითის მგელ ლომად ვით ის ვახტანგ
ვამტკიცებ მეფის ძეობით.

1691 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 265, დაწერილი ქაღალდზე ზომით
$34^{3}/_{4} \times 20^{1}/_{4}$ სანტიმ.

ქ: ნებითა: ღ̃თისათა: და: შეწევნითა: სიონთა: ღ[თის მშობლისათა] ესე:
წიგნი: მოგეც: მე: გოგალას. ცოლ ყოფილმან: მანიამ: შენ: მამის იმედის:
შვილს: რამაზას: ასრე: რომ: ამას წინათ: გედუაშვილი: იოანე: უშვილოდ:
ამოვარდნილიყო: და: იმისი: სახლკარი: ბატონს: თბილელს: ამბროსაშვი-
ლის: გოგინასათვის: მიეცა: მერმე: გოვინამ: გასასყიდლად: მოინდომა: სხვა-
ზედ: ალარ: გაასყიდვინა: და: ისევ: ბატონმა: თბილელმა: დაიხსნა: და:

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემს: ქმარს: გოგალას: წყალობა: უყო: ახლა: მოჰკდა: ღ~თის ბძანება: და: ქმარიც: მომიკუდა: და: შვილიცა: და: აღარა: დამრჩა რა: რადგან: ბატონმა: თბილელმა: ეს: ჩვენი: ნაქონი: სახლკარი: შენ: გიბოძა: ჩვენი: გულიც: რასმე: გევალებოდა: ახლა: მოხველ: და: ჩემი: გული: შეიჯერე: და: აღარას: გედავებით: და: გევალებით: ღ~თნ: მშვიდობასა: კარგად ყოფნასა: და: დღეგრძელობაში: მოგაკმაროს: დღეის უკან: ჩემს: ენასა: და: გულს: შენზედ: საავოდ: და: საცილოპარაკოდ: კელი: აღარა: ჰქონდეს: არც: ჩემს: კერძსა: და: ჩემიანსა: კელი: აქუს: შენთან: არიან: ამისნი: მოწამენი: მამათმთავარი: ნიკოლოზ:. ტოტაშვილი: კანდელაკი: მათე: მამისა: შვილი: ბერი: გოდაგი: ზაქარა: და: მე: იესე: დეკანოზს: დამიწერია: და: მოწამეც: ვარ: დაიწერა: მკათათვეს: კ~ე: ქ~კს: ტ~ოთ:

+

1693 წ. სიგელი მცხეთისა № 633, დაწერილი ქაღალდზე $15^{3}/_{4} \times 15^{1}/_{2}$ სანტიმ., მიცემული ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ.

ქ: ჩვენ: ქრისტეს: ღმრთისა: მიერ: კურთხეულმან: ყოვლისა: საქართველოსა: მაკურთხეველმან: ქართლისა: კათალიკოზმან: ამილახორის: ძემან: პატრონმან: ნიკოლოზ: ესე: უკუნისამდე: ჟამთა: გასათავებელი: წყალობის: წიგნი: გიბოძეთ: შენ: სუეტის: ცხოვლისა: და: ჩვენსა: ერთგულსა: და: თავდადებით: ნამსახურს: ყმასა: ჰარმეულს: პატასა: შვილთა: და მომავალთა: სახლისა: შენისა: ყოველთავე: მას ჟამსა: ოდეს: მოგვიდეგით: კარსა: დარბაზისა: ჩვენისასა: და სასაფლაოს: წყალობას: გვიაჯენით: ვისმინეთ: აჯა და: მოხსენება: თქვენი: გიბოძეთ: წეროვანს: ჩვენი: კარის: ეკლესია: სამკვიდროდ: და საბოლოოდ: გქონდეს: და გიბედნიეროს: ღმერთმან: სუეტის: ცხოვლისა: და: ჩვენსა: ერთგულად: სამსახურსა: შინა: ესე: ასრე: გაგითავდეს: და არა: მოგეშალოს: არა: ჩვენგან: და არცა: შემდგომად: ჩვენსა: სხვათა კათალიკოზთაგან: ვინცა: წყალობა: ესე: ჩვენი: მოგიშალოს: ცოდვათა: ჩვენთათვისმცა: იგი: განიკითხვის: დამამტკიცებელნ ამისნი: ღმერთმან: აკურთხოს: არიან: მოწამენი: და შუა: დამხდომნი: ამისნი: სახლთუხუცესი: ადამ გედავანიშვილი: როსებ: მაღალაშვილი: ივანე: დეკანოზიშვილი: არდაშელი: და სრულ: ერთობილნი მცხეთიშვილნი: მათის: ნებით: დართვითა: მე: მგალობელთ: უხუცეს: იორამს: დამიწერია: და: მოწამეცა: ვარ: დაიწერა: წიგნი: ესე: ქკ~ს: ტ~პა:

კ~ზი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**1695 წ.** მცხეთის სიგელი № 39, დაწერილი ქაღალდზე ზომით 42½×22¾ სანტიმ., მიცემული ერეკლე მეფის მიერ

ქ: ეჰა: ყოველთა: ქრისტიანეთა: შესავედრებელო: ძალო: და: სიმტკი-
ცეო: ჩვენო: და: ყოვლისა: ერისა: შემწეო: და: დიდებაო: სვეტო: ღ̃თივ:·
ალმართებულო: კვართო: საუფლო: და: მირონო: წმიდაო: მეფობისა: ჩვე-
ნისა: წარმმართებელო: ყოვლად: ქებულო: ახალო: იერუსალემო: ძალო:
და: სიქადულო: ჩვენო: შემწე: გვექმენ: ჩვენ: ცვა: ფარვათა: თქვენთა:
მინდობილისა: იესიან: დავითიან: სოლომონიან: პანკრატონიანსა: კახთა:
მეფისა: ძესა: და: ქართველთა: მპყრობელსა: ბედნიერის: ყეენის: მრავალ:
წყალობა: მოვლენილსა: მეფეს: ერეკლეს: თანა: მეცხედრესა: ჩვენსა:
დედოფალს: ანას: და: ძეთა: ჩვენთა: სასურველთა: ი͞ამყულის: და: კონსტან-
ტინეს: რომელთა: ვიგულეთ: და: ვიგულსმოდგინეთ: და: ძველი: გუჯრე-
ბიც: ვნახეთ: და: მეფის: სვიმონისაგან: და: პაპის: ჩვენის: მეფის: თეიმუ-
რაზისაგანცა: შემოწირული: ყოფილიყო: აწ: ჩვენცა: დავამტკიცეთ: მას:
ჟამსა: ოდეს: ქართველნი: უკუგვიდგნენ: და: ჩვენ: ჯავარს: ვიდეგით: და:
ქართველნი: თქუენს: ტაძარს: გარეშემო: ერთმანერთში: თოფისა: და: ზარ-
ბაზნის: სროლა: იყო: და: თქუენმა: მადლმა: და: შეწევნამა: და: ბედნიე-
რის: ყეენის: წყალობამა: და: ჩვენმა: სიმართლემ: კელი: მოგვიმართა: და:
საქართველო: ისრევ: დავიპყარით: და: ბიძა ჩვენი: დიასამიძე: წმიდა: და:
ღმერთ: შემოსილი: უფალი: იოვანე: კათალიკოზად: დავადგინეთ: თუ რამ:
თქუენზედ: დავაშავეთ: მის: საუპატიოდ: და: საპასუხოდ: პირველადაც:
თქვენის: ტაძრის: შეწირული: ყოფილიყო: კელ ახლა: ჩვენც: გკადრეთ: მოგახსე-
ნეთ: და: შემოგწირეთ: კათოლიკე: სამოციქულო: ეკლესიასა: დედა: ქალაქსა:
ცათა: მობაძავსა: მცხეთისა: სვეტსა: ცხოველსა: შემოგწირეთ: მცირე: შესა-
წირავი: კრწანის: და: ტაბაკმელას: შუა: შინდისი: მისის: სამართლით: და:
ყოვლის: მის: სამძღურითა: მთითა: ბარითა: შესავლითა: და: გამოსავლითა:
საკმარითა: და: უკმარითა: საძებრითა: და: უძებრითა: ველითა: ვენაკითა:
საკნავითა: უკნავითა: საწისქვილოთა: საწყლისპიროთა: ყოვლის: მისის:
უნაკლულოს: საქმითა: შეიწირე: კნინი: ესე: შესაწირავი: და: ნაცულად:
გვაგე: რა ჟამს: დაჯდეს: უფალი: საყდართა: ზედა: დიდებითა: თვისითა:
განსჯად: ადამიანთა: და: შეკრბეს: წინაშე: მისსა: ყოველნი: ტომნი: და:
ენანი: განკითხვად: თვითეული: კაცად: კაცადისა: მაშინ: ალმკოცელ: გვექ-
მენ: ცოდვათა: და: ბრალთა: ჩვენთა: საქაოდ: წარსამართებლად: და: გასა-
მარჯვებლად: მეფობისა: ჩვენისა: დასამტკიცებლად: და: საუკუნოდ: გამოკს-
ნად: სატანჯველთაგან: აწე: ვინაცა: ძემან: კაცისამან: მეფემან: ანუ: დედო-
ფალმან: დიდმან: გინა: მცირემან: ვინაცა: ადამის: ნათესავმან: კაცმან:
ამისდა: შლად: და: გამოკვებად: კელ ყოს: რისხავსმცა: დაუსაბამო: დაუს-
რულებელი: ღ̃თი: ყოვლად: წმიდა: ღ̃თის: მშობელი: მარადის: ქალწუ-
ლი: მარიამ: და: ყოველნი: წმიდანი: ღ̃თისანი: ამინ: დაიწერა: სიგელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესე: ფებერვალსა ერთსა: ქკ̃სა: ტ̃პგ: შუამდგომელობითა: ამბა: ალავერდლის: ჩოლოყაშვილის: ნიკოლოზისათა: კელითა: სამებელ: ეფისკოპოზის: ნიკოლოოზისათა: ძისა: მდივნისა:

ბეჭდები წარწერით: მეფე ნაზარალიხან, დედოფალი ანა.

ხვეულად: ნაზარალიხან, დედოფალი ანა.

1697 წ. მცხეთის სიგელი № 152, დაწერილი ქაღალდზე $33^1/_3 \times 15^2/_3$ სანტიმ., მიცემული ფარსადან ციციშვილის მიერ ოჯახობით

ქ:. ნებითა: და: შეწევნითა: ღ̃თისათა: ესე: ამიერითგან: უკუნისამდე: ჟამთა: დასასრული: ნასყიდობის: სიგელი: მოგართვით: თქუენ: ჩვენსა: დიდსა: სასოებას: სვეტსა: ცხოველსა: კუართსა: საუფლოსა: და: მირონსა: ღ̃თ: მყოფელსა: და: მას: ზედა: საქეთ: მპყრობელად: დადგინებულსა: დიდსა: მამათ: მთავარსა: ქართლისა: კ̃ზს: დიასამიძეს: ბატონს: იოვანეს: ჩვენ: ფანასკენტელმან: ციციშვილმან: ნოდარის:ძემან: ბატონმან: ფარსადან: ძმათა: ჩვენთა: ვახტანგ: პაატამ. და: ამილახარ: შვილმან: ჩვენმან: ზაზამ: გრიგოლ: სეხნიამ: და: დავით: შვილთა: და: მომავალთა: სახლისა: ჩვენისათა: ასე: რომე: დაგვექირა: და: მოგყიდეთ: ზანდარაშვილი: მღდელი: დავით: და: მისი: შვილი: ნავსაზარა: და: ზაქარია: ავიღეთ: ფასი: სრული: რითაც: ჩვენი: გული: შეჯერდებოდა: გყუანდესთ: და: გიბედნიეროსთ: ღ̃თნ: ყოვლის: კაცის: უცილებლად: არაოდეს: არ: მოგეშალოსთ: არა: ჩვენგან: და: არცა: შემდგომთა: სხვათა: მეპატრონეთაგან: ვინცა: და: რამანცა: კაცმან: ეს: ჩვენგან: ჳოსყიდული: ასე: არ: გაგითაოს: და: ამის: შლად: კელ ყოს: მასმცა: რისხავს: დაუსაბამო: დაუსრულებელი: ღ̃თი: მამა: ძე: და: სული: წმიდა: და: სვეტი: ცხოველი: ღ̃თივ: აღმართებული: და: ყოველნი: წმიდანი: ღ̃თისანი: ამინ: არიან: ამისნი: შუა: მდეგნი: და: მოწამენი: მთავარეპისკოპოზი: რატიშვილი: ბატონი: ევდემოს: მაღალაძე: არქიმანდრიტი: ქადაგი: ნიკოლოზ: მათი: ძმა: სახლთუხუცესი: რევაზ: ნოდარისშვილი: ღთისავარ: ალაიბეგიშვილი: სახლუხუცესი: ბერუკა: მუჩათიძე: წინამძღვარი: ათანასე: მისი: ძმა: ბეჟან: და: ავთანდილ: კლიმიაშვილი: იასე: მელვინეთხუციშვილი: როსტევან: გედავანიშვილი: სარდალი: გიორგი: ბოქაულუხუცესი: გარაყანიძე: ლუარსაბ: მცხეთის: დეკანოზი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია: კანდელაკი: გრიგოლ: დაიწერა: კელითა: კელმწიფის: კარის: დეკანოზის: შვილის: მიქელისითა: ქკ̃სა:- ტ̃პე:-

ბეჭედი წარწერით: ბოქაულთხუცესი ფარსადან

არშიაზე: ჩვენ: მოურავი: დილმისა: ბატონის: შვილი: იასე: მოწამე: ვართ: კ̃ზმა: ეს: მღდელი: დათუნა: დაიხსნა:.

Библио